ა. ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა
საზოგადოება

A. Zurabashvili Society of
Georgian Psychiatrists

N 10/2020 28.04.2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს

ფსიქიკური ჯანდაცვის სტაციონარულ და სტაციონარგარეთა სერვისებში კლინიკური მდგომარეობის მართვის რეკომენდაციებისა და პროტოკოლის
წარდგენა

საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების სამუშაო ჯგუფის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებისთვის შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს COVID 19-ის პანდემიის პირობებში პაციენტების მკურნალობისთვის როგორც სტაციონარულ, ასევე სტაციონარგარეთა სერვისებში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას.

კორონავირუსის პანდემიამ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ფსიქიკურ კეთილდღეობაზე. გაიზარდა შიში და შფოთვა. არეალებში, სადაც ინფექციის გავრცელების გამო შეზღუდულია გადაადგილება, ფსიქიატრიულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა გართულებულია როგორც სერვისის მოსარგებლე პაციენტებისთვის, ასევე იმ პირებისთვის, რომლებსაც პანდემიის პირობებში ფსიქიკური აშლილობები განუვითარდათ.

COVID-19-ის პანდემიის პირობებში, უწყვეტი ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფა, ჯანდაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

პროფესიული თემის მიერ მომზადდა რეკომენდაციები ფჯ სერვისებში უსაფრთხო მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შემუშავებულია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (The World Health Organization), დიდი ბრიტანეთის ფსიქიატრთა სამეფო კოლეჯის (Royal College of Psychiatrists), იტალიის ფსიქიატრთა საზოგადოების (Italian Society of Psychiatry), აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტის (The Centers for Disease Control and Prevention, US) ანალოგიური სტანდარტებისა და ფსიქიკური ჯანმდაცვის სერვისებში ჩართული ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე.

მისამართი: თბილისი, 0153, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. N 43
ტელეფონი: +995032 265 38 28
ელ-ფოსტა: geopsysociety@gmail.com

საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოება წარმოდგენილ კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციას (გაიდლაინს) „ფსიქიკური ჯანმრთლობა და COVID 19” და კლინიკური მდგომარეობის მართვის სტანდარტებს (პროტოკოლებს) „ფსიქიკური ჯანდაცვის სტაციონარულ და სტაციონარგარეთა სერვისებში პაციენტების უსაფრთხო მართვა COVID 19 პირობებში“ რეკომენდაციას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე.

პატივისცემით,
ა.ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა
საზოგადოების თავმჯდომარე /ეკა ჭყონია/